



KA020115802320921



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ბრძანება

№ 1-1/469

28 / ოქტომბერი / 2021 წ.

ა(ა)იპ - მწვანე ალტერნატივას, ა(ა)იპ - სოციალური სამართლიანობის ცენტრისა და გრიგოლ გაგნიძის ადმინისტრაციული საჩივრის ადმინისტრაციულ წარმოებაში მიღების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის, 183-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების, 194-ე მუხლის, 196-ე მუხლის და 202-ე მუხლისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ა(ა)იპ - მწვანე ალტერნატივას (ს/ნ: 204952676), ა(ა)იპ - სოციალური სამართლიანობის ცენტრისა (ს/ნ: 404432565) და გრიგოლ გაგნიძის (პ/ნ: 35001025997) 2021 წლის 18 ოქტომბრის N14921/21 ადმინისტრაციული საჩივარი მიღებულ იქნეს ადმინისტრაციულ წარმოებაში. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადად განისაზღვროს წარმოებაში მიღების დღიდან 2 თვე.
2. ადმინისტრაციული საჩივრისა და მასზე თანდართული დოკუმენტების ასლები გადაეგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – წიაღის ეროვნულ სააგენტოს და დაევალოს საჩივარში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით წერილობითი დასკვნისა და ადმინისტრაციული წარმოების მასალების წარმოდგენა ბრძანების ჩაბარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.
3. შპს „ტექნოლოჯი 2021“ (ს/ნ: 405470869) და შპს „მნ ნორთი“ (ს/ნ: 405470967) ჩაერთონ ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სახით და გადაეგზავნოთ ადმინისტრაციული საჩივარი და თანდართული დოკუმენტაცია.
4. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის მიზნით ღია სხდომაზე ზეპირი მოსმენა დაინიშნოს **დამატებითი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მის: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N2) და წინადადება მიეცეთ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარეებს უშუალოდ ან კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმომადგენლობის უფლებით აღჭურვილი პირის მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ ზეპირ მოსმენაში დანიშნულ დროს.
5. ადმინისტრაციული საჩივრის ავტორს და დაინტერესებულ მხარეებს მიეცეთ წინადადება ზეპირი მოსმენის გამართვამდე არაუგვიანეს 5 დღისა წარმომადგინონ საკუთარი მოსაზრებები და დამატებითი დოკუმენტები (მტკიცებულებები) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
6. ადმინისტრაციული საჩივრის განსახილველად მომზადება და მისი განხილვის უფლებამოსილება მიენიჭოს სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს.
7. ბრძანება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება და იგი შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული წარმოების საკითხზე მიღებულ საბოლოო (შემაჯამებელ) გადაწყვეტილებასთან ერთად.

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად

ნინო ენუქიძე

